

ზმსტაჟონის

ბრძოლა

გამოცემის
78-ე წელი

28 თებერვალი, 2010 წელი ○ მუნიციპალური გაზეთი ○ №4 (7895) ○ ღასი 30 თეთრი

რადიონის აზვარი

დაუჭერენ თუ არა მასწავლებლები მხარს სკოლებში საგაფიცო კომიტეტის შექმნას და რატომ ითხოვს დიპლომს განათლების მინისტრთან პედაგოგთა და მეცნიერთა პროფესიული კავშირი?

ამ საკითხზე ვრცელი მოხსენება მასწავლებლებს პედაგოგთა პროფკავშირის ვიცე პრეზიდენტმა მია ლიპარტიანიმ გააცნო. ის ზოგადად განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებსაც შეეხო, კონკრეტული შენიშვნები კი პედაგოგთა მოახლოებულ სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით ჰქონდა, პროფკავშირის მტკიცებით გამოცდებისათვის არ არის გათვალისწინებული მასწავლებელთა უფლებები და ინტერესები.

პედაგოგებს მხოლოდ დროის არჩევა შეუძლიათ თუ, როდის გავლენ გამოცდებზე.

მათი მტკიცებით არ არსებობს საგამოცდო პროგრამა, სასკოლო ტესტები და შესაბამისი ლიტერატურა.

შეხვედრას სხვადასხვა საჯარო სკოლის ათეულობით პედაგოგი ესწრებოდა.

ზოგიერთ მათგანს კონკრეტული შეკითხვებიც ჰქონდა, თუმცა ისინი თვლიდნენ, რომ კონკრეტული პასუხები მინც არ მიუღიათ.

პროექტი სამოქალაქო ურთიერთობის განვითარებისათვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ცხელი ხაზი მოსახლეობის ზარებს სხვადასხვა აქტუალური თემების მოსამხნად მიიღებს. საყოფაცხოვრებო სახის პრობლემები, მანამდე სხვაგვარი სისტემით გვარდება, ახლა ეს უკვე სატელეფონო შეტყობინებით იქნება შესაძლებელი.

სატელეფონო შეტყობინების შემთხვევებზე მობილური ჯგუფები იქნებიან განაწილებული. პრობლემებიც, შესაბამისად მათი კომპეტენციის ფარგლებში მოგვარდება.

ცხელი ხაზის ნომერი უცვლელია.

5 26 26 აკრეფის შემდეგ თქვენ გამგეობის მობილურ ჯგუფთან შეგიძლიათ მოხვედრა, და ეს ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, პრობლემის გადაჭრის ყველაზე იოლი გზაა.

ინტელექტუალური კონკურსის „ვიცის“ გამარჯვებული. შორანის საჯარო სკოლის მიერ დაწესებულ სტიპენდიას 1 წლის განმავლობაში მიიღებს.

კონკურსი უკვე მე-4 წელია იმართება შორანულ მოსწავლეებს შორის და მასში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები იღებენ მონაწილეობას.

სკოლის სტიპენდიანტის ტიტული მე-6 კლასის მოსწავლემ თიკა ფერაძემ მოიპოვა.

კონკურსში 37 მოსწავლე იყო ჩართული, სადაც ტესტები საგნობრივი პროგრამის საფუძველზე იყო შედგენილი.

გუნდური პირველობა ჭიდაობა ძიუდოში კოლხეთის თასზე. სამეგრელო ზემო სვანეთის ძიუდოსა და საქართველოს ფედერაციამ კოლხეთის თასის გათამაშების ჩემპიონატი 2010 წელს პირველად ჩაატარა.

ტურნირში ზესტაფონელი მოჭიდავეებიც ასაბრუნებდნენ. თასის მოპოვებისათვის „ფალანგელები“ და სასპორტო სკოლის წარმომადგენლები იბრძოდნენ. მათ ჩემპიონატში გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს და თასის მოპოვებაც შეძლეს.

აქცია „მე მიყვარს ჩემი ზესტაფონის“ ფარგლებში ქალაქის დასუფთავების სამუშაოები მკაცრდება.

მუნიციპალიტეტის გამგებელი აღნიშნულთან მიმართებაში სოფლის რწმუნებულებსა და დავადასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელს შეხვდა. ყველა მათგანმა გივი არაბიძისაგან შესაბამისი მითითებები მიიღეს. შეხვედრაზე ისაუბრეს, რომ ყველა ის პირი, რომელიც ქალაქის დანაგვიანებას შეეცდება, მათ მიმართ მკაცრი სანქციები გატარდება. სულ რამდენიმე დღეში მუნიციპალიტეტის გამგეობა ქალაქში ახალი ტიპის ურნებს შემოიტანს, რომელიც ყველა ცენტრალურ ნაწილში განთავსდება.

კულტურისა და შემოქმედების ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი დედის დღის, 3 მარტისათვის გასამართი ღონისძიებებისათვის ემზადება.

მოცეკვავეები ამოსათვის საგანგებოდ ემზადებიან. ისინი მაყურებელთა წინაშე 2 ახალი ნომრით გამოვლენ.

მომდევნო შეხვედრის გამართვა ანსამბლის წევრებს არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების კოლონიაში მიუწვევთ, იდეის ავტორი კულტურის ცენტრთან ერთად საგანმანათლებლო რესურს ცენტრიც გახლავთ.

პირველად სამამულო ომის მონაწილე ვეტერანი ქალბატონები სარეაბილიტაციო ფულად საჩუქარს მიიღებენ.

ასეთთა შორის სულ 13 წარმომადგენელია შერჩეული.

გადამწვეტილება ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვეტერანთა საბჭოსთან ერთად მიიღო.

მიმდინარე წლის 13 თებერვალს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის საერთო კრება. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ, რესპუბლიკური პარტიის თავრე დ. უსუფაშვილი, რეგიონალური და საარჩევნო სამსახურის უფროსი ირინა იმერლიშვილი, იმერეთის რეგიონის კომიტეტის თავრე ვლ. ნაკაშიძე, ეროვნული კომიტეტის წევრები: თ. შერგვალაშვილი და ნ. ქათამაძე.

კრებამ მოისმინა ზესტაფონის რაიონული კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

შემდეგ გაიმართა არჩევნები ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის კომიტეტის და სარეაბილიტაციო კომისიის წევრების.

ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა კომიტეტი ახალი შემადგენლობით, ტარიელ რობაქიძე, მირიან ბერუაშვილი, ელდარ ხუტაშვილი, ივარ ბერიძე, ნიკო ზუხაიძე და ტრიელ კამლაძე.

სარევიზიო კომისია, გია სხილაძე, ნანა წერეთელი და ქეთევან ზოგვერაძე.

გაიმართა ახლად არჩეული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის სხდომა.

კომიტეტის თავრედ არჩეულ იქნა ტარიელ რობაქიძე, მოადგილედ ელდარ ხუტაშვილი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია გია სხილაძე.

რას ლაღებენ დოკუმენტები

რუსიფიკატორულ პერიოდში, როგორც მთელ რუსეთის იმპერიაში, ისე მის 50-ე პროვინცია საქართველოში დათრგუნულია, უარყოფილია ეროვნული მეობა, თვითმყოფადობა, მთავრობის განკარგულების „საღმრთო სჯულის“ სწავლა რუსულ ენაზე. არსებობს ფაქტები, რომლებიც მეტყველებენ რა მტკიცებულად განიცდის შექმნილ ურთიერთობას ქართველი მასწავლებელი და მოსწავლე.

დავით ლამბაშიძე დაბა ყვირილაში (დღევანდელი ზესტაფონი) ნორმალური სკოლის მშენებელი (მშენებლობის უფროსის მოადგილე), გახსნის ერთერთი ორგანიზატორია, რომელსაც მთავრობამ „საღმრთო სჯულის“ სწავლება დააკისრა. ის იყო ჟურნალ „მწვემის“ ქართული და რუსული გამოცემების რედაქტორიც, გამოცემელიც. „ის მოშორებული იყო ერთ ძირითად ნაკლს ქართველებისას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ქართველი ბევრს ფიქრობს, ბევრს ლაპარაკობს, ევროზე ოცნებობს, მაგრამ ფიქრი ფიქრად რჩება, სიტყვა საქმედ არ იქცევა, ხდება ეს იმის გამო, რომ ქართველების გონებას არ ახლავს, გვერდში არ უდგია ნება, უნარი, წადილი. მისი სიტყვა საქმედ იქცეოდა და ყველა წადილი სორცილედებოდა“—წერდა განცხვენებულ დეკანოზ დავით ლამბაშიძეზე იაკობ გოგებაშვილი. დეკანოზი დავითი „საღმრთო სჯულის“ ქართულ ენაზე ასწავლიდა ბავშვებს. მთავრობამ მოითხოვა რუსულ ენაზე გადაცემა, როგორც ეს ნორმალური სკოლის პროგრამისთვის იყო მიღებული. მან უპასუხა: „ეგ მოთხოვნისა შეეხება საერო საგნებს და არა „საღმრთო სჯულს“, რომელსაც ყველა ერს, რუსეთის საზღვრებში მოქცეულს, ასწავლიან, ამას რად უნდა იყოს მოკლებული მართლმადიდებლური ქართველობაო. რუსულ ენაზე სწავლება „საღმრთო სჯულისა“ ტანჯვა-წავლება იქნება ჩემთვისაც და მეტადრე ბავშვებისთვისო. და მათში დათრგუნვას და აღმოფხვრავს იმ გრძნობას სარწმუნოებისას, რომელიც შეუთვისებიათ ოჯახში“. და ან ნება მომეცით ქართულად ვასწავლო და ან დაითხოვეთ თანამდებობიდანო.

დაითხოვეს და ეს საგანი ჩააბარეს სხვა მოძღვარსა, რომელიც ჯამაგირის გულისთვის, მუნჯურის ენის სტანჯავდა ბავშვებს საღმრთოულის გაკვეთილებზე და უხმობდა სარწმუნოებას და გონებასაც“. (იხ. ი. გოგებაშვილი, ჟურნალი ცხოვრება და ხელოვნება“, 1911, 16 იანვარი, №6, გვ. 8, 2 გ. ჯაიშვილი „ხესტაფონი“, გამოცემლობა“ ზ 1991 გვ. 44).

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუშეუბების გაერთიანებაში (დირექტორი თ. არაბიძე) დაცულია ხელწერი—აღნიშნულ პერიოდზე იოსებ მისეს ძე ჭყონიას „მოგონება“ დაიბადა 1903 წლის 14 აპრილს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჯურუყუეთში. ერთერთ უღარიბეს ოჯახში (ოჯახი რვა სულისგან შედგებოდა): „1911 წელს შემიყვანეს ადგილობრივ ოთხკლასიან სკოლაში. სწავლება რუსულ ენაზე იყო. მასწავლებელი რუსი იყო, მშობლიურ ენას, ი. გოგებაშვილის „დედა-ენას“ კვირამი ერთხელ ვასწავლიდნენ, სამაგეროდ „საღმრთო სჯულს“ რუსულ ენაზე დათმობილი ქონდა დღეში ორი გაკვეთილი (დიღას და საღამოს). გვიჭირდა რუსული ენის სწავლა და განსაკუთრებით „საღმრთო სჯულის“ ამის გამო რკინის სახაზავს გვიტყამდა თავში. განსაკუთრებით მაშინ გაკოფდებოდა, როცა მოწაფე ზეპირად ვერ წარმოთქვამდა სკოლაში ხატის ზინ ლევის ლოცვას. სხვა მასწავლებელი მეფის ოფიცრები იყვნენ, რომელთა აღზრდის პედაგოგიურ მეთოდს ცემა და სიმინდის მარცვალზე დაწოქება წარმოადგენდა...“

ამრიგად, არსებული პარალელები, ფაქტები მეტყველებენ, რომ რუსიფიკატორული პერიოდის „საღმრთო სჯულის“ სწავლების ძირითადი მიზანი: სიყვარული ღვთისადმი, სიყვარული ადამიანსადმი, უგულვებლყოფილია მთავრობის განკარგულებით და მისი თანხმლები პედაგოგიური აღზრდის მეთოდებით, მაგრამ შესაბამისობაშია იმპერიული მიზნებთან—ერის სულიერი დაცვით ადვილად მოხდეს დიდისაგან მცირის გადაყლაპვა, რაც ცხოველთა კანონია:

ადამიანები იმით განსხვავდებიან ცხოველებისაგან, რომ ისინი შეგნებით ქმნიან ისტორიას და ამ შეგნებული საზოგადოების კანონს ურთიერთდამხარება და მფარველობა უნდა ედოს საფუძველად.

ი. თაბაბარი
მუხუფის თანამშრომელი

იუმური მასწავლებლის აკუი



ხუთი წლის წინათ თემურ ჯაშიაშვილმა ჩამოაყალიბა კალათბურთელ გოგონათა სექცია. მაშინ ჩვენ 13-14 წლისი ვიყავით, იგი ჩვენ დაგვიპირდა, რომ თუკი სისტემატურად ვივარჯიშებდით, დიდი კალათბურთის თამაშს შევძლებდით. ჩვენც მისი ხელმძღვანელობით დაინწყეთ ვარჯიში. თემური მასწავლებელმა ძალიან შეგავყვარა კალათბურთი, არ ვახსოვს რომელ ოდესმე ვარჯიში გავცდინოს ან დაეგვიანოს. გუნდი შეიკრა და ამ 5 წლის მანძილზე მრავალშეჯიბრებაში მივიღეთ მონაწილეობა, არც ერთხელ არ დავრჩენილვართ საპრიზო ადგილის გარეშე. უფრო მეტიც, უმაღლეს ლიგას ვთამაშობთ უკვე ორი წელია, შარმან კი ბრინჯაოს მედლები მოვიპოვეთ. წელს პირველი ტური ჩატარდა ქალაქ ქუთაისში, სადაც თბილისის შემდეგ, მეორე ადგილს ვინარჩუნებთ. ეს დიდი წარმატებაა, მით უმეტეს, თუ ჩვენ ასაკს გავითვალისწინებთ. გუნდის წევრები:

ქეთი მოდებაძე, თამუნა მანჩხაშვილი, თამუნა მოდებაძე, ნინო კვიციანი, შორენა კუპატაძე, ნატა მეტრეველი, მარი მამჩიტაძე, ფატი ხუსკივაძე, ანა აბესაძე, ეკა გრიგალაშვილი.

ქეთი მოდებაძე (გუნდის კაპიტანი): კალათბურთზე შესვლის დღიდან ვარჯიში არ გამიცდენია, თემური მასწავლებელმა იმდენად შეგავყვარა კალათბურთი, რომ უკვე მის გარეშე ვეღარ წარმოვიდგენია.


ფატი ხუსკივაძე (კალათბურთელი). ხუთი წელი ვიარე კალათბურთზე. მას შემდეგ თემური მასწავლებლის ხელმძღვანელობით ვვარჯიშობდი. ახლა ვსწავლობ თბილისის უნივერსიტეტში, ვარ მესამე კურსის სტუდენტი, მაგრამ კვლავ განვაგრძობ თამაშს ზესტაფონის გუნდში. თემური მასწავლებელი უაღრესად პატიოსანი და კეთილი ადამიანია, სწორედ ამიტომ უარი არ მითქვამს კვლავ ზესტაფონში თამაშზე.

(შმოხვლი) მანანა ხუციშვილი.

ასეთი ადამიანი მართლაც დასაფასებელია. ბატონი თემური გადაყოლილია კალათბურთელებზე. მან რამდენიმეჯერ ნაიყვანა ბავშვები საწვრთნელ შეჯიბრებებზე. ათ-ათი დღით, ბავშვები ძალიან კმაყოფილები იყვნენ. მათ არასოდეს დაავიწყდებათ ის დღეები, რომელიც შეკრებაზე გაატარეს, რაც თემური მასწავლებლის დამსახურებაა.

P.S. თემურის მეორე ნახევარში გაიმართა ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები, რომელსაც ზესტაფონმა უმასპინძლა. ჩვენდა ვასახარად გვგონებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს და თვით უნივერსიტეტის გუნდსაც სძლიეს, რომლებიც თვითდაჯერებულები გამოვიდნენ სათამაშოდ ეტყობა საკუთარი კედლების ფაქტორმა და გულშემატკვრობამ ახალი ძალა მისცა.

გასულ საუკუნეს, 1956 წლის 9 მარტს ქ. თბილისში დატრიალებული ტრაგედია და მისი სამწუხარო პარალელი-9 აპრილი, ჩვენი ერის უახლესი ისტორიის სისხლიანი ფურცლებია... ეს ტრაგედიები, ანუ რუსი ჯარის მიერ ღირსება-თავისუფლებისთვის ქუჩაში გამოხატული მშვიდობიანი მოქალაქეების (უმთავრესად ახალგაზრდების), სოციალური, ელექტა, თბილისის თითქმის ერთ და იმავე ადგილას (მთავრობის სახლის წინ) დატრიალდა... ორივე შემთხვევაში ჩადენილი ბოროტების გასამართლებლად გარკვეულმა ძალებმა ერთი და იგივე ყალბი ვერსია გაავრცელეს, რომ თითქოსდა პირველად ქართველმა ახალგაზრდებმა დაჭრეს რუსი ჯარისკაცები, რომლებიც 9 მარტს და 9 აპრილს ამ სიტყვებით გვლავენ: „*Вот тебе за Сталина*“ 9 მარტის ის საშინელი მოვლენები კი მართლაც სტალინის სახელის დასაცავად დაიწყო, ეს სახელი ხომ იმ დროს ჩვენი ერის ღირსებასთან ასოცირდებოდა... აი, რა მოგვითხრო ყოველივე ამის ერთ-ერთმა თვითმხილველმა, მოწმემ და უშუალო მონაწილემ, ბატონმა გივი მშენიერაძემ.



გადაწყვიტა გვირგვინები მიეტანათ „მშრალ ხიდათს“, სანაპიროზე, წითელი გრანიტის მაღალ კვარცხლბეკზე მდგარ სტალინის ბრინჯაოს ძეგლთან... ამ მიზნით ფულიც აიკრიბა და ერთ-ერთი სტუდენტი წყნეთში გაიგზავნა გვირგვინების შესაკრავად... იმავე დღეს სტუდენტმა მოვიდნენ ხელისუფლების ახალგაზრდული ფრთის - კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები და გვირგვინის თავი შეგვეკაპებინა ჩანაფიქრისგან, რომ არ იყო საჭირო ძეგლთან გვირგვინების მიტანა... მათმა რჩევამ ჩვენში უკუფიქრით გამოიწვია და კიდევ უფრო გააძაბა აფრა მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების სურვილი. 5 მარტს, დაახლოებით დღის მეორე ნახევარში, სტუდენტმა მცხოვრებ 15-მდე სტუდენტს სათავეში ჩაუდგა ისტორიის ფაქტობრივი მესხეთე კურსის სტუდენტი, ტყიბულელი ილია ბარბაქაძე; დაიკავს ხელში სახელმწიფო დროშა, სტალინის პორტრეტი და სხენებული გვირგვინებით გაემართნენ ძეგლის შესამკობად... სტუდენტებიდან გამოსულ სტუდენტებს მაშინვე შეუერთდნენ ქუჩაში მოსიარულნი და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან მისვლამდე ხალხის საკმაოდ გრძელი კოლონა გაიჭიმა, ხალხი ტროტუარზე აღარ ეტეოდა და პირდაპირ პროსპექტზე გადავიდნენ, ჭკაკვაძის და რუსთაველის პროსპექტებზე შეწყდა ყოველგვარი ტრანსპორტის მოძრაობა, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში კი სწავლა. ყველაგან ეყარა ხრუშჩოვის დანებული სურათები, და ეს სტიქიურად შეკრებილი ზღვა ხალხი სანაპიროსკენ, სტალინის ზემოთ

სხენებული ძეგლისკენ გაემართა... გზად ხელში აყვანილი ახალგაზრდა ორატორები სიტყვით მიმართავდნენ მსვლელობის მონაწილეებს, ისინი სტალინს ადიდებდნენ და მის კრიტიკოსებს წყველა-კრულვას უთვლიდნენ... შებინდებისას, ძეგლის წინამდებარე საკმაოდ დიდი მოედანი და მიმდებარე ხეივანი ზღვა ხალხით აივსო, ხოლო ძეგლის კვარცხლბეკი მთლიანად გვირგვინებით დაიფარა... მეორე დღეს კი, ძეგლთან, თავს იყრიდნენ უკვე სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული დელეგაციები, იქვე, ამაღლებულ ადგილას მოწყობილ ტრიბუნიდან განუწყვეტილად გამოდიოდნენ სიტყვებით ახალგაზრდები... და იშვითად თუ მოიწყვედნენ ხოლმე იმდროინდელი საზოგადოების ე. წ. ცნობილ სახეებს, სანაპიროზე რომ ხალხის ტევა არ იყო, პარალელური მიტინგები იმართებოდა მაშინდელ ლენინის მოედანზე, ახლა რომ თავისუფლების სახელი ეწოდება... მასხოვს, სიტყვით გამოვიდა პოეტი იოსებ გრიშაშვილი და მთავრობის მაშინდელი ხელმძღვანელი, ვასილ მუჟაანაძე, მან გამოსვლა რუსულ ენაზე დაიწყო, მაგრამ ხალხმა შეაჩერა შეხსენებები: -ქართულად, ჩართულად! ზოგჯერ ტრიბუნიდან ხალხს აშკარა პროვოკატორებიც მოუწოდებდნენ, ხოლო 9 მარტს, საღამოს ერთ-ერთმა ასეთმა პროვოკატორმა ხალხს მიმართა, რომ კავშირგაბმულობა აეღო და თურქეთის მთავრობისთვის მიემართათ დახმარების მიზნით... ისიც მასხოვს, რომ ამ პროვოკატორთა მხილებით ბრწყინვალედ გამოვიდა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტი, ჯანსუღ ჩარკვიანი. აქვე, ერთ-ერთმა გამომსვლელმა განაცხადა, რომ „კავშირგაბმულობაში“ გაეშვათ დელეგაცია, რათა მათ მოლოტოვისთვის გაეგზავნათ მისდამი სიმპატიების გამოხატულება დეპუტე. მართლაც, ყოველივე ამის შესასრულებლად კავშირგაბმულობაში“ გაგზავნილ იქნა რამდენიმე კაცი, თუმც ცოტა ხანში მოვიდა ცნობა, რომ „კავშირგაბმულობასთან“ ისინი დააკავეს. სწორედ ამით ისარგებლეს სხენებულმა პროვოკატორებმა და ხალხს მოუწოდეს დეკავებულთა გასათავისუფლებლად წასულიყვნენ... ვგრძობდი, რომ ამას კარგი არაფერი მოყვებოდა, მაგრამ რომ გამეშხილა, იქვე ჩამქოლავდნენ, ასე რომ, მე და ჩემი ერთი თანაკურსელი, ქუთაისელი ვლადიმერ ბუხაიძე; „კავშირგაბმულობის“ შენობისკენ გავემართეთ აზვირთებულ ბრბოსთან ერთად. „კავშირგაბმულობის“ წინ ქუჩა ტროლეიბუსებით ჩაეხერგათ და მათზე შენობაში შეჭრის მსურ-

ველები გადადიოდნენ... მე და ჩემი თანაკურსელი იქვე ახლოს მდგარ ეგნატე ნინოშვილის ძეგლთან დავდექით, ვინაიდან წინ ვეღარ მივდიოდით... და ამ დროს... ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების კაკანი ატყვია... ვფიქრობ, მიბჯენით არ ისროდნენ, ტყვიები ზუზუნშხული ხეთა კენწერებში გაჰქონდა... და ჩვენ კი, ამაზრზენ-თავზარდამცემი შიშის განცდით ვიყავით შეპყრობილი... ადგილიდან მოვწყდით, გავიქეცი და უცებ... პირადად მე ისე ძლიერ დავეცე, რომ სხვა შემთხვევაში, ალბათ, დაუხმარებლად ადგომა გამიჭირდებოდა, აქ კი, მყისვე წამოვხტი, და ასე ჩავიბრინეთ ტრამაის ხაზამდე, აქედან კი უკვე, სტუდენტულად მიმავალ გზას ფეხით გავუყვით... გვესმოდა მოწოდებები: „ხალხო ნუ გეშინიათ, „ხალასტოის“ ისერება, ნუ გარბიხართ, უკან დაბრუნდით!“ არადა ამ დროს გასისხლიანებულ დაჭრილებს და გარდაცვლილებსაც ვხედავდით... ყველა საზოგადოებრივ დაწესებულების შენობის შესასვლელთან რუსი ჯარისკაცები იდგნენ, თუმც მღუმარედ და უაგრესოდ... სტუდენტულად რომ მივუახლოვდით, მთელი პერიმეტრი დაკავებული ჰქონდა ჯავშანმანქანებს და ტანკებს, რომელთა კომპლექსზე საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი, ტყვიამფრქვევ მომარტებული რუსი ჯარისკაცები, თავზარდამცემ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩვენზე. რადიო ყოველ ხუთ წუთში გადმოსცემდა თბილისის სამხედრო კომენდატის, გლადკოვის ბრძანებებს, ქალაქში კომენდატის საათის დაწესების შესახებ, რომლის მიხედვით ყველას გვეკრძალებოდა ქუჩაში გასვლა საღამოს 8 საათიდან დილის 5 საათამდე. ხოლო დღემდე გავრცელებულ ხმებს რაც შეეხება, რომ თითქოსდა სანაპიროზე მრავალი მომიტინგე ხმსტებზე წამოაგეს, ტანკებით გათელეს და ცხედრები მტკვარში გადაყარეს, ამას არ შეეწირებოდა... და ვერ დავადასტურებ, თუმც ვერც უარყოფ...
მეორე მხანწერი რეაქციისგან ცნობილია, რომ იმ პერიოდის საქართველოში, წლების მანძილზე, ქართველი ხალხის მოძულისა და დაუძინებელი მტრის-ნიკიტა ხრუშჩოვის ლიკვიდაციის საიდუმლო გეგმა მზადდებოდა ოთხკაციანი ორგანიზებულ ჯგუფის მიერ, რომლის ერთ-ერთი წევრი, შემდგომ მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი ცნობილი ქართველი დისიდენტი, აწ გარდაცვლილი ალიკა (ალექსანდრე) მელაძე ჩვენი ქალაქის ფეროს №4 საშუალო სკოლის რუსული სექტორის კურსდამთავრებული იყო...
მოამზადა
ბალსაზ მატაპარიანმა

თვითმხილველის მონათხრობი...

...მიმდინარე წელს 54 წელი სრულდება იმ სისხლიანი ტრაგედიიდან, რაც 1956 წლის 9 მარტს თბილისში დატრიალდა და რომელსაც, ოფიციალური მტკიცების 25-მდე სრულად უდანაშაულო ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო ზოგიერთ თვითმხილველთა ნაამბობზე დაყრდნობით, არაოფიციალურად: მსხვერპლთა რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევდა. ჩვენში ამ ტრაგედიასზე საუბარი დიდი ხნის მანძილზე ტაბუდირებული იყო და მხოლოდ ბოლო წლებში გახდა შესაძლებელი მასზე საჯაროდ აზრის გამოთქმა, გამოქვეყნდა მრავალი სავაზო სტატია და რამდენიმე წიგნიც დაიწერა, მათ შორის შ. ნოზაძის და ნ. ნათაძის ნაშრომები, თუმც, ჩემი აზრით, ეს ნაშრომები დაწერილი არ არის ობიექტურ მემატრიანეთა კეთილსინდისიერებით, თითქოს ახალგაზრდების მაშინდელ მოძრაობას სტალინის კრიტიკით გაიზიანება კი არა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოტივები განაპირობებდა. სინამდვილეში ახალგაზრდების აღშფოთების მიზეზი განაპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ სტალინის შეურაცხყოფილი კრიტიკის გამო 1956 წლის თებერვალს მოსკოვში ჩატარებულ კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე. ახალგაზრდებმა ეს კრიტიკა არა მარტო ქართველების, მთელი იმდროინდელი საბჭოთა ხალხის სულში ჩაფურთხებდა მიიჩნიეს... ამას კი თავის მიზეზები ჰქონდა: ჩვენ, მაშინდელი თაობა, დახვეწილი კომუნისტური იდეოლოგიის წინაშე ქვეშ ვიზრდებოდით, სტალინისადმი უსამღვრო სიყვარულის ნიშნით, და მისმა კრიტიკამ მოკში ჩააგდო თითოეული ჩვენგანი. სხენებული იდეოლოგიის ძლევაშილიების საიდუსტრაციოდ ის მაგალითიც საკმარისია, მწერალი ალ. სოლჟენიცინი რომ აღწერს თავის გახმაურებულ წიგნ „არქიპელაგ გულაგში“, თუ როგორ შეხვდნენ შორეულ ციხის ბინადრებს მყოფი პატიმრები სტალინის გარდაცვა-

ლების ცნობას-ერთბაშად გაყინულ მიწაზე დაემხვნენ და აქვითინდნენ... ანდა ავიღოთ II მსოფლიო ომისდროინდელი ჩვენი ძირითადი ლოზუნგი „სტალინისთვის“, სამშობლოსთვის“... ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ ამ იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდებისთვის თავზარდამცემი იქნებოდა სტალინის კრიტიკა. 9 მარტის მოვლენების წარმმართველ ძალას მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდობა წარმოადგენდა, ხოლო ინტელიგენცია მეორეხარისხოვანი როლს თამაშობდა ამ მოვლენებში...
ყველაფერი კი ასე დაიწყო: ზემოთ ხსენებული კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დამთავრების შემდეგ, კომუნისტების მოწინავე გახეთ „პარადაში“ გამოქვეყნდა ხელმოწერილი სტატია, რომელშიც მიწასთან იყო გასწორებული სტალინის მთელი მოღვაწეობა. იმ პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის III კურსზე ვსწავლობდი, ლექციებზე რომ მივედი, ყველანი იმ გაზეთის აღნიშნულ სტატიას ვაპარაკობდნენ, მერხები აჭრელებული იყო სტალინის სადიდებელი წარწერებით და იმდროინდელი ე.წ. საკავშირო მთავრობის მაშინდელი მეთაურის, ხრუშჩოვის საღამოდავი სიტყვებით. სიმპათიას გამოხატავდნენ მხოლოდ იმავე მთავრობის ერთ-ერთი წევრის, მოლოტოვის მიმართ... მასხოვს, ლექციაზე შეწუხებული სახით შემოსული აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, რომელმაც თავშეკავება-სიმშვიდისკენ მოგვიწოდა, რათა ჭკვიანად ვყოფილიყავით... თუმც მომდევნო დღეებში, მოსკოვში გამართულ პლენუმზე კვლავ გამოსულა ხრუშჩოვი იგივე კრიტიკით, და ამის შემდეგ სტუდენტთა აღშფოთება სულ უფრო და უფრო გაიზარდა... ამასობაში დადგა სტალინის გარდაცვალების დღე 5 მარტი. მაშინდემ კი, 4 მარტს დილით, სტუდენტულ ქალაქში მცხოვრებმა ისტორიის ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტმა

კავკასიის ხერხთა მეცნიერებათა აკადემიასთან აშშ მეცნიერების ექსპედიციის საბჭო თანამშრომლობის

ილია ვაგულაშვილი—ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი, ბორის გაპონოვის სახელობის ხალხთა მეცნიერებათა საერთაშორისო ექსპერტების თავმჯდომარე მედიის მინისტრის დარგში.
საქართველოს, ისრაელის, ესტონეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, კავკასიის, აშშ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი).
გამოცემული აქვს 120 წიგნი მედიცინის ისტორიაში, მითოლოგიაში, ფოლკლორისტიკაში, ეთნოგრაფიაში, ხალხთა კულტურის ურთიერთობებზე, ეკონომიკაში, მათ შორის 31 მონოგრაფია და რამდენიმე სახელმძღვანელო, 200 სტატია და არაერთი საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო პრემია. არის აკადემიის წევრის სახელობის ლაურეატი, შვაიცერიის მედიის ლაურეატი (გერმანია), მინიჭებული აქვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი, არის საპატიო საერთაშორისო დიპლომის (აშშ) მფლობელი, საქართველოს საქველმოქმედო ასოციაცია „მესხეთის“ საპატიო წევრი, არჩეულია 2000 წლის საუკეთესო ადამიანად (აშშ), არის აზერბაიჯანში ინტელიგენციის საზოგადოების „საპატიო დოქტორი“.
ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესტუმრა ახლახან დაფუძნებულ კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ცნობილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს აკადემიკოს ილია ვაგულაშვილს და ესაუბრა:
—პატივით ილია, ვთხოვთ ჩვენი გაზეთის მკითხველს მოუთხროთ თქვენი აკადემიის შესახებ, ამასთან ვსარგებლობთ შემთხვევით და გულთადად მოგილოცავთ აზერბაიჯანის ელიტარული და ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის, აზერბაიჯანის ინტელიგენციის საზოგადოების“ საპატიო დოქტორატითა და სომხეთის ჰუმანიზმის აკადემიის აკადემიკო-

სად არჩევას. ეს თქვენი მრავალწლიანი დაუღალავი შრომის და დიდი ღვაწლის კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარებაა. თუ არ ვცდებით უკვე მერამდენედ გირჩევენ უცხოეთის პრესტიჟული უნივერსიტეტები და აკადემიები საპატიო წევრად, შარშან ამერიკის ერთოვნილი აკადემიის აკადემიკოსად აგიჩივიეს. ეს პატივი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.
—ალბათ უნერხულია ჩემგან ამაზე საუბარი, ისე ცხადია მიხარია, როცა ჩემს მოკრძალებულ შრომას ვიღაც ამჩნევს და აფასებს, კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემია არის ნებაყოფლობითი, დემოკრატიული, თვითმართვლობითი, მასობრივი

საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც დაფუძნდა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის აკადემიური და ამერიკის ექსპერტთა წარმომადგენლობის ორგანიზაციების მიერ 2001 წლის 5 აგვისტოს (4608, ქუთაისი, ბუხაიდის ქუჩა, მეორე მიკრორაიონი, კორპუსი 16/8 მობილური: 893_501-482; 895_26-54-00) ჩვენივე დიდი პატივია თქვენი მიღება კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიაში, რომელშიც არიან გაერთიანებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ამდენად ეს ვახლავთ ტიპიური საერთაშორისო მასშტაბის აკადემია, რომელიც ნებაყოფლობის საფუძველზე

აერთიანებს კავკასიის პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად, ასევე უცხოელი ღირსეულ ფიზიკურ პირებს, რომელთაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღონ აკადემიის მიზნების და ამოცანების განხორციელებაში.
აკადემიის ძირითადი მიზნებია: ყოველწლიურად შეუწყოს ხელი მეცნიერების განვითარებას, სახალხო დიპლომატიის აღორძინებას, დემოკრატიული, სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობას, ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ და კულტურული უფლებების რეალიზაციას, რომლებიც აუცილებელია პიროვნების ღირსების დაცვის და თავისუფალი განვითარებისთვის, დახმარება გაუწიოს ადამიანების სულიერ განვითარებას და თვითრეალიზაციაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ზიარების მეშვეობით, მხარი დაუჭიროს და განავითაროს ინიციატივები და მენარმეობა, ხელი შეუწყოს პროგრესის და დემოკრატიის ინტერესებისთვის შიდა სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ურთიერთობების დემოკრატიზაციის და ჰუმანიზმის პროცესს.

(გაგრძელება გვ 3)

კავკასიის მეცნიეხებათა აკადემია

(დასასრული)

აკადემიას განზრახული აქვს დაანსოს სტიპენდიები და პრემიები, რომლითაც პერიოდულად დაჯილდოვდება ამა თუ იმ სფეროში განსაკუთრებული წვლილისათვის და ღვაწლისათვის ნიჭიერი პირები. ვეცდებით მალე გამოვცეთ ინგლისურენოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, რომელშიც შრომის, გამოქვეყნების საშუალება ექნება ყველა ნიჭიერ ადამიანს განურჩევლად იმისა, არის ის ჩვენი აკადემიის წევრი თუ არა.

—და მაინც რა არის განსაკუთრებული თქვენი აკადემიის ცხოვრებაში?

—ამჟამად, როცა უნივერსიტეტების და აკადემიის ბუმი დადგა საქართველოში და რიგ მეზობელ ქვეყნებში, ახალი აკადემიის დაფუძნებას მართლაც ექნებოდა აზრი, თუ კი ის სრულად ახალ და რაც მთავარია, საქმიან კავშირებს დაამყარებდა თავის წევრებთან ჩვენ სწორედ ამ გზას ვადავართ.

დავინყებთ იქიდან, რომ ჩვენი აკადემიის ყველა დამფუძნებელი უკვე მანამდე იყო აკადემიკოსი და საზოგადოებაში აღიარებული პირი. ამდენად, ჩვენი აკადემია იმიტომ არ დაფუძნებულა, რომ ვინმეს თავისი თავი აკადემიკოსი გაეხადა და ამით თავისი ამბიციები დაეცხრო.

—ეს „აკადემიკოსობა“ არაერთ აკადემიას სჭირს.

—სამწუხაროდ, ეს მართალია, ამით მნიშვნელოვნად გაუფასურდა აკადემიის მთავარი არსი და ღირსება არ ვარ მომხრე საჯაროდ ვაკრიტიკო სხვა პირები და ორგანიზაციები პოპულისტები მრავლად გვყავს პოლიტიკაშიც და სხვაგანაც მთავარია, საქმიანად აჩვენოს ხალხს საკუთარი პოზიცია და პრაქტიკულად დაამტკიცოს რა და როგორ შეგიძლია გააკეთო სიკეთე.

ყოფილ საბჭოთა კავშირში აკადემიაში ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) იღებდნენ მხოლოდ მეცნიერებათა დოქტორებს, თანაც ისეთებს, რომლებიც რაიმე ნიშნით აწყობდათ სახელმწიფო მმართველობაში. თუ იმასაც დაეუბნებოდა, რომ ეს ზოგიერთი მეცნიერი სხვათა ხარჯზე ან საეჭვო გზებით იყო განდიდებული, ბევრი აკადემიკოსის გვარ-სახელი აღარ ახსოვს დღეს ხალხს. სანაცვლოდ აკადემიაში არ იქნა არჩეული მრავალი ღირსეული სწავლული და მოღვაწე, რომლებმაც ჭეშმარიტად უდიდესი წვლილი შეიტანეს ამა თუ იმ სფეროში. დავასახელოთ თუნდაც პავლე ინგოროყვა, ბორის გაპონოვი, აკაკი განურელია, ნონა გაფრინდაშვილი, ლეილა აბაშიძე, ოთარ კობერიძე, თენგიზ მუშუქიანი და მრავალი სხვა მწერლად და აკადემიკოსად ზოგჯერ მიიჩნეოდა ის, ვისაც მწერალთა კავშირის ან აკადემიის წიგნაკი ედო ჯიბეში და არა ის, ვინც ქმნიდა მწერლობას, მეცნიერებას ან საზოგადოდ კულტურულ ფასეულობებს ცხოვრებაში. ყოფილმა საბჭოთა სინამდვილემ მხოლოდ მწერლებისათვის დაუშვა გამონაკლისი და აკადემიაში ირჩევდა მათ. ის, რაც ცივილიზებულ სამყაროში ნორმად იყო მიჩნეული, საბჭოეთის დროს იგნორირებული იყო. მსოფლიო პრაქტიკამ იცის აკადემიაში მიღების შემდეგი დადგენილი წესი. „საპატიო დოქტორად“, აკადემიკოსად, წევრ-კორესპოდენტად ან ასოცირებულ წევრად არჩევა არის ამა თუ იმ პირის საზოგადოებრივი დამსახურების აქტი. სწორედ ასე წერია ჩვენს წესდებაში და ამ მხრივ კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემია, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული და დემოკრატიული ორგანიზაციაა მთელ დსთ-ს ტერიტორიაზე.

ჩვენი აკადემია „საპატიო დოქტორად“, აკადემიკოსად, წევრ-კორესპოდენტად, ან ასოცირებულ წევრად პერიოდულად აირჩევს საზოგადოების ყველაზე ღირსეულ წევრებს მოღვაწეობის ყველა სფეროდან, ღირსეულ მეცნიერებასთან ერთად ყურადღების გარეშე არ დაგვრჩენია ცნობილი სპორტსმენები, პედაგოგები, ექიმები, ჟურნალისტები, ხელოვანები, პედაგოგები, ლიტერატურული მოღვაწეები; ბიზნესმენები და ა.შ. საზოგადოდ, ნებისმიერი ადამიანი, რომელთაც სხვადასხვა ასპექტით დიდი წვლილი მიუძღვით საზოგადოების წინსვლისთვის. ეს ის ადამიანები იქნებიან, რომლებიც აურჩევლად არიან ყველაზე დიდ აკადემიაში. სახალხო აღიარების აკადემიაში, ჩვენი აკადემიის კარი ღიაა ყველა წესიერი, პატიოსანი, დამსახურებული და ღირსეული პირისთვის.

სხვა ერის ღირსეული პირისათვის დანესებული გვაქვს საპატიო აკადემიკოსის და საპატიო დოქტორის ნოდებები და ორდენები „ოქროს მარჯვენა“ დიპლომთან ერთად პირველთაგანს ვადაცემთ. ასეთებდა ავირჩევთ აგრეთვე ჩვენს თანამემამულეებსაც, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი, ან შეაქვთ ერთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში, ჰუმანიზმის დამკვიდრებაში.

აკადემიის „საპატიო დოქტორად“, აკადემიკოსად, წევრ-კორესპოდენტად ან ასოცირებულ წევრად უკვე არჩეულნი არიან ცნობილი მეცნიერები, კულტურის გამორჩენი პირები, აღიარებული პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები. ისეთებიც კი რომლებიც ამჟამად პენსიაზე არიან და რომელთაც ღვაწლი დღემდე სათაბადოდ არ იყო დაფასებული სასიამოვნოდ დეტალად მიმჩნია აღვნიშნო, რომ აკადემიაში გვერდიგვედ არიან წარმოდგენილი აზერბაიჯანელი და სომეხი, ოსი და აფხაზი, ჩეჩენი და ინგუზი, ჩერქეზი და ყაბარდოელები ღირსეული კოლეგები, ამ პრაქტიკას შემდეგმაც ვავაგრძელებთ საკითხებისადმი ჩვენი ლიბერალური დამოკიდებულება სრულად არ ნიშნავს იმას, რომ განუკითხავად მოხდება აკადემიაში მიღება ეს კია, რომ ღვაწლს არავის დაუკარგავთ და პატივს მივაგებთ.

—საქართველოში თუ გყავთ თქვენი აკადემიის წევრები?

—საქართველოში ამჯერად ღირსეულ მოქალაქეთა ერთი ნაწილი ავირჩიეთ აკადემიის „საპატიო დოქტორად“, ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) წევრ-კორესპოდენტად და ასოცირებულ წევრად. მათ გვარებს დიპლომების საზეიმოდ გაცემის ცერემონიისას შეიტყობთ. საქართველოში მრავალი დამსახურებული და ღირსეული ადამიანი და მომავალში კვლავაც ვავაგრძელებთ მათ სათანადო აღიარებას და სხვადასხვა ფორმით დაფასებას. აკადემიკოსად ავირჩევთ აქაურ, მაგრამ ამჟამად სხვაგან მოღვაწე რიგ მეტად დამსახურებულ პირებსაც.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო შემდეგი: რვა აკადემი მისეზების გამო ამჟამად საქართველოს გარეთ, სხვადასხვა ქვეყანაში დროებით ან მუდმივად ცხოვრობს არაერთი ღირსეული ჩვენი თანამემამულე. განზრახული გვაქვს პატივი მივაგოთ მათ. ოჯახი, გვარი არ არის რომ გამოჩენილი და ღირსეული პირი არ ჰყავდეს. ძნელია ფლობდეს სრულ ინფორმაციას ყველას შესახებ, ამიტომ უნდა მოქმედდეს სახალხო დიპლომატიის მოქნილი მექანიზმი. ვთხოვ მკითხველებს, ნუ დაიზარებენ მოგვანოდონ ცნობები ღირსეულ ახლობელთა შესახებ განურჩევლად იმისა, თუ სად მოღვაწეობენ ისინი ამჟამად. მათი სათანადოდ დაფასება ჩვენი ღირსების საქმეა. ახლო ხანში განსაკუთრებით გამორჩეულთ პრემიებითაც დავაჯილდოვებთ.

—გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის.

—კარგად ბრძანდებოდეთ.

მსახურ მსახურად

საქონლზე მოქმედების გაცემის გარეშე მოკავშირის ახალი მტაკობები ახლა ვაძლავს

1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-გასაბჭოებთან 89 წელი გავიდა. საქართველოს ისტორიაში ტრაგიკული და დრამატული მოვლენების მორიგ წლისთავზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის მიზეზებსა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების საქართველოსა და დღევანდელ საქართველოში არსებულ პრობლემებსა და ამჟამად პარალელურ „ინტერპრენიუსი“ პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, მალხაზ მცაბერიძეს ესაუბრა.



— უკანასკნელი ორი ათეული წელია 25 თებერვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის სიმბოლოდ იქცა. ამ თარიღთან დაკავშირებით თავისებურ ტრადიციად იქცა როგორც იმდროინდელი მოვლენების განვითარებაზე განსჯა, ისე დღევანდელი ვითარებასთან პარალელების გავლენა. რას იტყვით საქართველოს გასაბჭოების მორიგ წლისთავთან დაკავშირებით?

— საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის მიზეზების გააზრება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რადგანაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა კვლავ აღმოჩნდა უმძიმესი განსაცდელის წინაშე, საქართველოს სახელმწიფოს რეალურად ემუქრებოდნენ განადგურებით და ეს საფრთხე არ მოხსნილა ზოგიერთი ანალიტიკოსის და პოლიტიკოსის „დღის წესრიგიდან“. საქართველოს „დაშლის“ სხვადასხვა სცენარებს დაინტერესებული მკითხველი დღესაც მრავლად იპოვის რუსულ მედიაში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის მიზეზების თაობაზე განსჯა ხშირად მიმდინარეობს კონკრეტული საკითხების განხილვის გზით — რა იქნებოდა, რომ რუსეთის თავდასხმას უფრო მომზადებულნი შეხვედროდნენ, არმიის დემობილიზება არ მოხდინათ, რომ თბილისის დატოვების გადაწყვეტილება არ მიეღოთ და ა.შ. თანამედროვეობასთან პარალელების გასაგებებად კი უფრო სიღრმისეული მიზეზების ძიებაა საჭირო. ამ მიზეზების შესახებ, საუბრობდა ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1919 წელს.

— რა გავთ მხედველობაში?

— 1919 წლის დასაწყისში ივანე ჯავახიშვილი საქართველოს მთავრობამ შეიყვანა პარიზის საზოგადოებრივ კონფერენციაზე მიმავალი 12-წევრიანი დელეგაციის შემადგენლობაში. თუმცა, სტამბულში ხანგრძლივი ლიდიის შემდეგ, პარიზში დელეგაციის მხოლოდ ორი წევრი გაუშვეს, ხოლო ივანე ჯავახიშვილი და დელეგაციის დანარჩენი წევრები საქართველოში დაბრუნდნენ. ივანე ჯავახიშვილმა ბათუმსა და სტამბულში ლიდიის პერიოდი გამოიყენა მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომების დასაწერად: „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ და „დამოკიდებულება რუსეთისა და საქართველოს შორის მე-19 საუკუნეში“. ასევე თბილისში დაბრუნების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1919 წლის 27-28 აპრილს ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია „მიმდინარე მომენტის“ შესახებ.

ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების სიმრავლის მიუხედავად, ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის უმთავრეს საფრთხეს სულ სხვა რამეში ხედავს, რამაც მას ადვილად არ დაეთანხმებოდნენ არა მხოლოდ იმდროინდელი ქართული პოლიტიკის მესვეურები, არამედ პოლიტიკური საქუტრის და მთლიანად საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი. მთავარი საფრთხე საქართველოსთვის, ივანე ჯავახიშვილის აზრით, თავად „ქართული პოლიტიკის გულწრფელობა“ იყო.

— ივანე ჯავახიშვილის აზრით, რაში გამოიხატებოდა „ქართული პოლიტიკის გულწრფელობა“?

— ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთისა და საქართველოს შორის 19-ე საუკუნეში“ ივ. ჯავახიშვილი ანალიზებს თუ რამ განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევა და მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია. ის ასახელებს ერთადერთ მიზეზს — „ქართული პოლიტიკის გულწრფელობას“ ცეროპოლებთან და, კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში. „ჩვენ წინაპრებს ეგონათ, რომ ძლიერი ქრისტიანი ერი უანგარო დახმარებას გაუწევს მცირე ქრისტიან ერს და ძლიერი ერის პოლიტიკაში ვერაგობას ადგილი არ ექნებოდა“.

ივანე ჯავახიშვილი მოკლე ისტორიული ექსკურსით მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიაში აჩვენებს, თუ რა კატასტროფული შედეგები მოუტანა საქართველოს ვახტანგ 6 და ერეკლე II -ის მიერ რუსეთის მიმართ გატარებულმა ანგარიშგარე გულწრფელობის პოლიტიკამ. თბილისის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციის დასაწყისშივე კი ივანე ჯავახიშვილი აყალიბებს მთავარ დასკვნას, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდა ისტორიული მიმოხილვიდან: „თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსი. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს, მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულდებოდა არ შედიოდა საქართველოსთვის დახმარების გაწევა. რუსეთის თავისი მიზნები ჰქონდა და საქართველოსთვის ზრუნვა მხოლოდ სიტყვის მასალა იყო“. დეწლისილი მეცნიერის აზრით, ქართველ პოლიტიკოსთა მიერ დამუშავლმა სახელმწიფო შედეგობებმა განაპირობა ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წარმატება. „ქართულ პოლიტიკის გულწრფელობამ, უსუსურობამ მიიყვანა საქართველო ოკუპაციამდე“, — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი.

— რა კავშირი აქვს მე-18 საუკუნის დროინდელ შედეგობებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდთან, რომლის სათავეშიც ათეულობის იდგნენ და არანაირი „მართლმადიდებლური სოლიდარობა“ მათ გულს არ აუჩქროლებდათ, გარდა ამისა, თავად ბოლშევიკური რუსეთიც ემიჯნებოდა რელიგიას. . .

— ივ. ჯავახიშვილს განსაკუთრებით შემაშფოთებლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც ძველმა სახელმწიფო სენამ კვლავ თავი იჩინა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. სამწუხაროა, რომ ივ. ჯავახიშვილის შეფასება — „ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულწრფელობით დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა“, დღესაც აქტუალურია.

ქართული პოლიტიკის გულწრფელობა გამოვლინდა იმაში, რომ „რუსეთის ყველაზე გვიან საქართველოს ჩამომორდა“, რადგანაც „ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა“. მაგრამ ივანე ჯავახიშვილს ეს არ მიაჩნია დიდ შეცდომად და აღნიშნავს, რომ „პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გადაიდგა თავის დროზე და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია“.

— ივ. ჯავახიშვილს „გულწრფელობა პოლიტიკის“ გაგრძელებად მიაჩნია ქართველ პოლიტიკოსთა ნდობა ანტანტის წარმომადგენელთა განცხადებებისა და დაპირებებისადმი. პარიზის კონფერენციაზე მიმავალი საქართველოს დელეგაცია მშვენივრად შეხვდა იმ ფაქტს, რომ სომხეთის დელეგაცია მოკავშირეებმა ბათუმში ჩამოსვლისთანავე გააზავნეს პარიზისაკენ, საქართველოს დელეგაციას კი ერთი კვირა აცდევინეს — თქვენივეს სეციალურად ჩამოვა გემოი. „ზოგიერთ ჩვენ დელეგაციის წევრებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მოკავშირენი გულწრფელნი იყვნენ გემის დაგვიანების მიზეზების ახსნაში. აქაც სჩანდა ჩვენი გულწრფელობა პოლიტიკოსობა“, — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი.

იმდროინდელი ქართული პოლიტიკის გულწრფელობა, ივ. ჯავახიშვილს, გამომდინარეობდა პარტიული იდეოლოგიიდანაც. სოციალისტური პარტიები დიდ იმედს აწყარებდნენ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის წარმატებაზე. ივ. ჯავახიშვილს უხდებოდა იმ დელეგაციაში ყოფნა, რომლის წევრების დიდი ნაწილი რევოლუციური მოლოდინებით იყო გამსჭვალული და ამ პოზიციიდან აძიქვამდა მოვლენათა განვითარებას. იყო მოლოდინი იმისა, რომ „ვეროპის დიდ ომს უნდა მოჰყვებოდა დიდი გარდაქმნა“.

— ივ. ჯავახიშვილმა ლექცია „მიმდინარე მომენტის“ შესახებ წაუკითხა უნივერსიტეტის სტუდენტებს რომელთა დიდი ნაწილიც პოლიტიკაში იყო ჩართული და თუ სტუდენტური გამგეობის შემადგენლობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მნიშვნელოვანწილად სოციალისტურად განწყობილი. სწორედ იმ სტუდენტების სახელით, რომლებიც ივ. ჯავახიშვილის ლექციას უსმენდნენ, დამფუძნებელი კრებისათვის გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამი იყო: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ესალმება ქართველ ერის სუვერენობის დამადასტურებელ საქართველოს დამფუძნებელ კრებას და გამოსთქვამს სურვილს, რომ კაპიტალიზმის რღვევის ხანაში საქართველოს სოციალისტური წარმომადგენლობა გაბედულად ამოუდგეს გვერდში მებრძოლ სოციალისტურ დემოკრატებს და ცხოვრების ბურჟუაზიული საფუძვლები შესცვალოს სოციალისტური საფუძვლებით, რაც საქართველოს მიანიჭებს იმ შრომის სუფევას, რისთვისაც სისხლიდან იცლება მოწინავე ევროპა“.

— ივ. ჯავახიშვილი მოუწოდებს ქართულ პოლიტიკაში გულწრფელობის დაძლევისაკენ. ქართული პოლიტიკისათვის არაფერი შეიცვლებოდა უკეთესობისაკენ, თუკი ერთმორწმუნეობით განპირობებულ გულწრფელობას ჩანაცვლებდა გარკვეული იდეოლოგიით განპირობებული პოლიტიკური გულწრფელობა. ივანე ჯავახიშვილის ეს გაფრთხილება, სამწუხაროდ, სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული.

— რა შეიძლება ითქვას თანამედროვე გადასახედიდან იმის თაობაზე, რაზეც ივანე ჯავახიშვილი აფრთხილებდა 1919 წელს ქართულ საზოგადოებას?

— დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა 1921 წელს მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბჭოთა რუსეთის მიმართ გატარებულმა „გულწრფელობა საგარეო პოლიტიკაში“. საქართველოს ხელისუფლებაში დიდ იმედს აწყარებდნენ რუსეთთან დადებულ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე და სრულად მოულოდნელი ამოჩნდა საბჭოთა რუსეთის კარგად მომზადებული თავდასხმა 1921 წლის თებერვალში.

— ივანე ჯავახიშვილის მიერ 1919 წლის აპრილის ბოლოს წაკითხული მოხსენებიდან 90 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ დიდი მეცნიერის მიერ მოცემულ ანალიზს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. საქართველოს მიმართ აგრესიული პოლიტიკისაგან რუსეთი არ გათავისუფლებულა და, მით უმეტეს, საქართველომ უნდა დასძლიოს რუსეთისადმი „გულწრფელობა“ მიდგომის ახალი მცდელობები. პრინციპში იგივე ითქმის სხვა სახელმწიფოთა მიმართაც. ყველა მოქმედებს თავისი ინტერესების შესაბამისად და „უანგარო მხარდაჭერის“ იმედად ყოფნა არ შეიძლება.

— თუმცა, აუცილებელია ინტერესთა თანხვედრის ძიება და ამ ყველაფრისათვის ამოსავალი უნდა იყოს, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ქართულ აზროვნებაში საგარეო პოლიტიკისადმი „გულწრფელობა“ მიდგომის აღმოფხვრა და „თავის თავსა და თავის ძალღონეზე დაყრდნობა“.

კობა ბენდელიანი „ინტერპრენიუსი“

გაუკანნი საქართველო

სამთო ტურიზმი ზედა საქარის საჯარო სკოლაში, სხვა სპორტულ სახეობებთან ერთად დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ მეტად ვაჟკაცური სპორტის სახეობას ჩვენს სკოლაში 1958 წელს საფუძველი დაუდო ან განსვენებულმა რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა (ჩემმა ბაბუამ) რამაზი სამხარაძემ, რომლის ხელმძღვანელობით 1958-1989 წლებში ჩვენი სკოლა რეგულარულად მონაწილეობდა რესპუბლიკურ ფინალურ ასპარეზობაში, ტურიზმში და ყოველთვის ფავორიტად მოიაზრებოდა. ჩვენი სკოლის გუნდი სპორტის ამ სახეობაში 1980 წელს საქართველოს ჩემპიონები გახდნენ.

ტრადიცია დღემდე წარმატებით გრძელდება. 1990 წლის აგვისტოში ჩვენი სკოლის ტურისტული გუნდი (მასწავლებელი ივანე სამხარაძე) რესპუბლიკის ფავორიტ სკოლებთან ერთად მონაწილეობდა რესპუბლიკურ ალპინიზმში, რომლებმაც დალაშქრეს ყაზბეგის რაიონში: დედაენის მწვერვალი (ზღვ.დ.3100), ყურის მთა (2800), ჩვენი სკოლის გუნდს სხვადასხვა წლებში დალაშქრული აქვთ: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკის მთათა სისტემა, როგორცაა: მთა რკინის ჯვარი, მთა სამეცხვარიო-2800მ ზღვ.დ., ლომის მთა, მთა მეფის წყარო 2900 მ. ზღვ. დ. რომელიც მდებარეობს იმერეთის და გურია აჭარის მთათა სისტემაში.

გასული წლის ოქტომბერში უმცროსი ასაკის ჯგუფმა (მასწ. ი. სამხარაძე) გეზი ავიღეთ ხარაგაულის რაიონის სოფ. ნუნისისაკენ, რომელიც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ ტყე-პარკის დაცულ ტერიტორიის საზღვრებში მდებარეობს. დილის ექვს საათზე მატარებლით დავიძარით და სამ-საათიანი მგზავრობის შემდეგ გზა სადგურ მოლითიდან ქვეითად განვაგრძეთ. ამინდი რუბლიანი შეგვესწრო, მდინარე ზვარულას ხეობას სანააღმდეგო მიმართულებით ავუყვებით და ჩვენს თვალწინ გადაიშალა უკიდურესი მთათა სისტემა. მოძველებული ინვენტარით: (ზურგჩანთა, კარავი, საძილე ტომარა.) და საკვებ-სანოვავით მძიმედ დატვირთულები ვცდილობდით წვიმისათვის დაგვესწრო დაბანაკების ადგილამდე. გზად ზვარისა და ნუნისის მოსახლეობა დიდი სითბოთი და სიხარულით გვხვდებოდნენ, მეტიც ტვირთის გადაადგილებაში გვეხმარებოდნენ. რამდენიმე საათიანი დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ მივაღებეთ ნუნისის ლეთისმშობლის მონასტერს, რომელიც სოფლიდან, რამდენიმე კილომეტრში აზვირთულ მთებს შორის მდებარეობს. მონასტერთან ბერი მამა პავლე შემოგვხვდა, როცა შეიტყო ჩვენი მოგზაურობის მიზანი, დიდად კმაყოფილი დარჩა, დაგვლოცა და მონასტრის ეზოში შეგვიძღვა, რომელიც რამდენიმე წელია ბერული ცხოვრებით მოღვაწეობს მონასტერში და ბევრი სასიკეთო საქმე უკეთებია.



იქვე გალავანთან ბერებისათვის მოსასვენებელი კელები აუგია, რომელიც სისადავითა და სილამაზით ამკობს სამონასტრო კომპლექტის ერთობლიობას, ეზოში დიდი შრომის შედეგად მრავალი სკა დაუდგამს, კეთილ ადამიანებს რა გამოლევს. დილოცოს ჩვენი დედა ეკლესიის მრევლი, მამაოს მოსახმარებლად რაიონიდან ამოსულან ახალგაზრდები. ჩვენც დავხმარეთ მათ. მამაოს კურთხევით სამი დღე მოვისვენეთ იქვე აგებულ ეროვნულ ტყე-პარკის კოტეჯში. იგი მოგვითხრობდა მართლმადიდებლურ რელიგიურ ისტორიას და წმინდა მამების ცხოვრების შესახებ. ღამე საოცრად ღამაში იყო, მთვარის შუქით განათებულ წყნარ ხეობაში, მხოლოდ მდინარის დუღუნის არღვევდა ამ საოცარ იდილიას.

წამოსვლისას მოვილოცეთ და მამა პეტრემ გზა დაგვილოცა. გზად ბალნეოლოგიურ კურორტ „სამთო ნუნისში“ შევიარეთ. სოფელი ზვარეში კი ზვარის მინერალურ წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა დავათვალიერეთ, რომელიც ორი ათეული წლის დახურულ იყო და მის პირველ პროდუქციის გამოშვებას დავესწარი, დირექციის წარმომადგენლებმა დიდი სითბოთი მიგვიღეს. ერთმანეთს განვლილი დღეების შთაბეჭდილებას დღესაც ვუზიარებთ, მამა პეტრეს რჩევა დარიგება მუდამ გზად დაგვყვება, რომელიც მოგვინოდება: ამაღლით საკუთარ ვნებებზე, საკუთარ ხორცზე, ამ მინისაგან მოზეულილ კოშკზე.

რამაზ სამხარაძე
მეშვიდე კლასის მოსწავლე

ბიძოვრი ნაპოვნი ბერნიეხება

ჩვენი თანაქალაქელი, ღრმად პატივსაცემი ქალბატონი მაია ნიკოლოზის ასული ელენე დაიბადა 1924 წელს ივანოვოს ოლქის ქალაქ ვიწყვამში. 1941 წლის 15 ივნისს დაამთავრა ივანოვოს სამედიცინო ტექნიკუმი. 22 ივნისს დაიწყო საბჭოთა ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გერმანული ფაშისტური არმიის წინააღმდეგ. 16 წლის მაია ნიკოლოზის ასულმა მაიაკითხა სამხედრო კომისარიატს გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მაგრამ როგორც არასრულწლოვანი მოქმედ არმიაში არ გაინვიეს და სამსახური მიუჩინეს სამხედრო ჰოსპიტალში ექიმის თანამშემედ. სამხედრო ჰოსპიტალში ქალბატონი მაია მუშაობდა ორი წლის განმავლობაში. 18 წლის შესრულების შემდეგ გაინვიეს მოქმედ არმიაში და ჩარიცხეს ვოლხოვის ფრონტის 194-ე ნალმატყორცნ პოლკში მებრძოლად. შემდეგ გადაიყვანეს ლენინგრადის ფრონტის 25-ე საარტილერიო დივიზიაში. ლენინგრადის ბლოკადის პერიოდში ქალბატონი მაია სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდგა. ქალაქის მასირებული, ყოველდღიური დაბომბვა, ნანგრევებში ათასობით დაღუპული ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოსახლეობა, საშინელი შიმშილი, ყინვა და ადამიანისთვის აუტანელი ყოფა გადაიტანა და ღვთის შეწევნით ცოცხალი გადარჩა. ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის შემდეგ იგი ჩარიცხეს უკრაინის პირველი ფრონტის 25-ე არმიის შემადგენლობაში, სადაც იბრძოდა ომის დამთავრებამდე. ომის დამთავრებას ავსტრიაში შეხვდა ქალბატონი მაია, რომელსაც დღესაც არ შეუძლია აღელვების გარეშე გადმოსცეს ის განუზომელი სიხარული და ბედნიერება, რაც ომის დამთავრებამ გამოიწვია. მებრძოლი ჯარისკაცი 1945 წლის 10 აგ-



ვისტოს დემობილიზირებული მოქმედი არმიიდან ის მუშაობას იწყებს ქ. ივანოვოს სამხედრო ჰოსპიტალში იქ გაიცნო მისი მომავალი მეუღლე ე. ლილუაშვილი და 1949 ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დაბრუნდნენ საქართველოში. ამჟამად, ქალბატონი მაია ლილუაშვილი, ხალხისა და ყვეყნის წინაშე პირნათლად ვალმოხდილი, ჯანმრთელადაა და ხარობს თავის 5 შვილის, 8 შვილიშვილის და სამი შვილთაშვილის კარგად ყოფნითა და ბედნიერებით. გილოცავთ ქალთა სერთაშორისო დღეს, 8 მარტს ქალბატონო მაია.
რამინ შერგელაშვილი,
ზესტაფონის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირის თავჯდომარე.

ორმასი ოცი

ელენე კონსტანტინეს ასული ჭანტურიდი დაიბადა 1925 წელს ირკუტსკის ოლქის სოფელ კარიმსკში, გლეხის ოჯახში. ქალბატონი ელენე (ქალიშვილობაში მირონოვა) საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1943 წელს მოხალისედ წავიდა მოქმედ არმიაში გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ის არმიაში ჩარიცხულ იქნა საზენიტო ბატარეაში მებრძოლად. რამდენი გაჭირვება, რამდენი უძილო ღამე, რამდენი დაბომბვა გადაიტანა ქალბატონმა ელენემ. ის მამაცურად იბრძოდა და ნაწილის მეთაურებს შეუმჩნეველი არ დარჩათ მისი თავდადება და გამიზული შემართება. ქალბატონი ელენე დაჯილდოვებულია წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის, წითელი დროშის ორდენებით და მრავალი მედლით. საზენიტო ბატარეაში ყოფნის პერიოდში გაიცნო მან ქართველი კალისტრატე ჭანტურიდი. ბრძოლაში დაიბადა მათი სიყვარული და ჯერ კიდევ ომი მძვინვარებდა, როდესაც ელენე და კალისტრატე დაქორწინდნენ. ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ საზეიმოდ აღნიშნა მათი შეუღლება და საბრძოლო პირობებში გაუმართა საზეიმო სადილი. ომის დამთავრების დროს ელენე და კალისტრატე ჩეხოსლოვაკიაში იყვნენ თავის ნაწილთან ერთად. დემობილიზაციის შემდეგ ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა მუშაობა დაიწყეს ირკუტსკის ქ. ჩერემსოვოში ქვანახშირის საბადოებში. ქალბატონი ელენე ოჯახთან ერთად 1950 წელს ჩამოვიდა ზესტაფონში. ქალბატონმა ელენემ, სრულყოფილად შეისწავლა



ქართული ენა და მუშაობა დაიწყო შორაპნის ელექტრო-ელემენტების ქარხანაში, კანცელარიის უფროსად, სადაც ამ თანამდებობაზე მუშაობდა პენსიაში გასვლამდე. დღეს ზედა საქარაში ცხოვრობს შესანიშნავი ქალბატონი, კარგი, მისაბაძი დედა, ბებია და მეუღლე. დიდხანს იცოცხლეთ ქალბატონო ელენე, ჩვენო ამაგდარო, კეთილო და ვალმოხდილო ადამიანო. წინასწარ გილოცავთ გაზაფხულის ულამაზეს დღესასწაულებს.
სიმონ ცერცვაძე,
ზესტაფონის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირის თავჯდომარის მოლადგილე.

<p>მთავარი რედაქტორი გურაბ ლომთაძე</p>	<p>რ ე დ კ ო ლ ე გ ი ა : ზურაბ ლომთაძე, ლეონი ბიჭიაძე, ტარიელ სალაძე, ლალი მუშლაძე, მარინა ჯუღელი</p>	<p>ვაჭეთი ააწყო და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შ.პ.ს. „ნოემლი მნ“-ის სტამბაში მის: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 33 ტელ: 2-37-11</p>
---	---	---